ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

ENPARD

საქართველოს წინსვლა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში

2020

ავტორი: მაია ჩიტაია
რედაქტორი: თამარ ხუნწარია
დიზაინერი: მარიამ მორჩილაძე
ქართული თარგმანი: თეა ღვინაძე

© ENPARD-ის საკომუნიკაციო სამსახური
Action Global Communications Georgia

ACTION
GLOBAL COMMUNICATIONS

პუბლიკაცია ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხუსმგებელია Action Global Communications. შინაარსი შეიძლება, არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ENPARD

საქართველოს წინსვლა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში

- სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება
- სოფლის განვითარების ხელშეწყობა
- სურსათის უვნებლობის სტანდარტების ამაღლება
- საექსპორტო პოტენციალის ზრდა

„მოხარული ვართ, რომ დიდი ხანია ვმონაწილეობთ საქართველოს წინსვლაში სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით. მოუთმენლად ველით მთავრობასთან, დაინტერესებულ მხარეებთან და პარტნიორებთან ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას, რათა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები გავაუმჯობესოთ და დასაქმების შესაძლებლობები გავზარდოთ. ევროკავშირის მიზანია, ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერება, რათა მათ საკუთარი თემის განვითარება თავად შეძლონ," – **კარლ ჰარცელი,** ევროკავშირის ელჩი საქართველოში.

„სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია. აღნიშნულ სექტორს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლისთვის. სოფლის გამოცოცხლებისთვის მიმართულ მთავრობის ძალისხმევას მნიშნელოვანი საგარეო მხარდაჭერაც აქვს. ევროკავშირის დახმარებით, ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, საქართველოში მკვიდრდება სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი ხედვა, რომელიც ევროპის საუკეთესო გამოცდილებას ეფუძნება. მომდევნო წლებში, ჩვენ კვლავ განვაგრძობთ სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობას. აღნიშნული მიდგომა სოფლად დასაქმებასა და საცხოვრებელ პირობებს გააუმჯობესებს," - **ლევან დავითაშვილი**, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

შესავალი

სოფლის მეურნეობა, საუკუნეების განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკისა და სოციალური სტრუქტურის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა და ეკონომიკის განვითარების პროცესში. საბჭოთა კავშირის დაშლამ საქართველოს სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობა განაპირობა. თუმცა, ბოლო წლებში, სექტორი ეტაპობრივად ვითარდება.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში დასაქმების ზრდის, სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკის გაძლიერებისთვის. შესაბამისად, ახლა ამ სექტორის განვითარება განსაკუთრებით დროულია. ამასთან, ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შეთანხმება უკვე სრულად ამოქმედდა, ხოლო ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) საქართველოში წარმოებულ პროდუქციას 500 მილიონი ევროპელი მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომს ხდის.

შეთანხმების ფარგლებში, საქართველო იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, ქვეყნის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადობის გზით. პროგრესული მიდგომა ასევე გულისხმობს სოფლად თემებში ეკონომიკური კეთილდღეობის ხელშეწყობასა და ცენტრალური თუ ადგილობრივი ადმინისტრაციების გაძლიერებას, რაც სოფლის განვითარების საუკეთესო პრაქტიკისა და ცოდნის გაზიარებით მიიღწევა. სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაზეც სახელმწიფოს მიერ გაზრდილი დაფინანსება და სწრაფი სტრუქტურული და საკანონმდებლო რეფორმები მეტყველებს. ევროკავშირი საქართველოს აღნიშნული სექტორის ზრდისთვის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამით (ENPARD) 2013 წლიდან ეხმარება.

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ENPARD-ს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირი საქართველოს მრავალმხრივი მხარდაჭერით უზრუნველყოფს, რაც ქვეყანაში ევროპული სტანდარტების დამკვიდრებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. ამ მხარდაჭერის სიკეთეებია:

- **სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩართული სამთავრობო ინსტიტუტების შესაძლებლობების გაძლიერება.**
- **სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, რაც ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებით, ასევე, პროდუქციის უკეთესი სტანდარტებისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით მიიღწევა.**
- **კულტურული მემკვიდრეობისა და გარემოს მხარდაჭერასთან ერთად, სოფლად დივერსიფიცირებული სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება, განსაკუთრებით, ქალებისა და ახალგაზრდებისთვის.**

პროგრამის სრული ბიუჯეტი 2013-2022 წლებში არის **179.5 მილიონი ევრო ≈ 587 მილიონი ლარი**

ENPARD I

52 მილიონი ევრო
(≈170 მილიონი ლარი)

ევროკავშირმა ENPARD-ის პროგრამა 2013 წელს დაიწყო. პროგრამის მიზანი საქართველოს სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სოფლად სიღარიბის შემცირებაა.

ENPARD II

50 მილიონი ევრო
(≈163 მილიონი ლარი)

2016 წელს ENPARD-ის მეორე ფაზა დაიწყო. მის მიზანს პროგრამის პირველ ფაზაში ინიცირებული სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმიანობის გაფართოება წარმოადგენს.

ENPARD III

77.5 მილიონი ევრო
(≈253 მილიონი ლარი)

2018 წელს დაიწყო ENPARD-ის მესამე ფაზა, რომელიც სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის მეტად ამაღლებას, სოფლად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

ENPARD I (2014-2017)
დასაწყისი და ადრეული მიღწევები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულ საქართველოს განვითარების სწორი ხედვა სჭირდებოდა. გარდაქმნას საჭიროებდა სოფლის მეურნეობა, როგორც ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისა და თვითმდგრადობისთვის მნიშვნელოვანი სექტორი. ახლადშექმნილ სახელმწიფოში დასაქმებულთა 53% სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩართული, თუმცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 70%-ზე მეტი იმპორტირებული რჩებოდა (Oxfam). ცხადი იყო, რომ სექტორი არაეფექტურად ვითარდებოდა და სწორი მიმართულება, მიზანი და მკაფიო სტრატეგია სჭირდებოდა.

ENPARD-ის საწყის ეტაპზე, პროგრამის ძირითადი მიზანი იყო, მხარი დაეჭირა საქართველოში ევროპულ თუ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული სექტორული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის. 2015 წელს, ევროკავშირის ფინანსური დახმარებით (ENPARD-ის ფარგლებში) და საერთაშორისო ორგანიზაციების (გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)) ტექნიკური მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობამ **საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია** პირველად შეიმუშავა და სექტორის განვითარებისთვის შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები დაისახა:

- ფერმერების გაძლიერება
- საკანონმდებლო საქმიანობის განვითარების მექანიზმების შექმნა
- ინსტიტუციური განმტკიცება და შესაძლებლობების გაფართოება

ფერმერების გაძლიერება

- განმტკიცდა მცირე ფერმერთა შორის თანამშრომლობა. ასევე, ჩამოყალიბდა ბიზნესზე ორიენტირებული პარტნიორობა და მცირე ფერმერული კოოპერატივები. ყოველივე ეს ხელს უწყობს წარმოებისა და ეკონომიკის გაძლიერებას.

- შეიქმნა 59 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი. ცენტრები ფერმერებს საუკეთესო გამოცდილებების, ახალი ტექნოლოგიებისა და საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ ინფორმაციას აწვდიან და შესაბამის რჩევებსა თუ სწავლებას სთავაზობენ.

საწყისი გამოწვევები:

- მცირე ნაკვეთები და ინდივიდუალურად დასაქმებული ფერმერები;
- მაღალი ხარჯები;
- მცირე წარმოება.

ფართომასშტაბიანი, ნებაყოფლობით კოოპერაციაზე დაფუძნებული სოფლის მეურნეობა ევროპისთვის უცხო არ არის. აღნიშნული სახის გაერთიანება ფერმერებს ცოდნის გაზიარების შესაძლებლობას აძლევს და ამცირებს მათ ხარჯებს წარმოების პროცესში საჭირო ტექნიკურ თუ სხვა ტიპის საშუალებებზე. საქართველოში კი თითოეული ფერმერი საკუთარ მცირე ნაკვეთში ინდივიდუალურად საქმიანობს, რაც მათ დანახარჯებსა და რისკებს ზრდის. ENPARD-ის ფარგლებში, ევროკავშირი ქართველ ფერმერებს ევროპული გამოცდილების სიკეთეებით სარგებლობის საშუალებას აძლევს. ამასთან, მეწარმეები ეკონომიკის გაძლიერებისა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ხარჯების მინიმუმამდე შემცირების მექანიზმებს ეცნობიან.



* ENPARD-ის კოოპერატივების განვითარების პროექტების განმახორციელებელი ორიგანიზაციები: Oxfam, Mercy Corps, People in Need, Care International, UNDP Georgia.

ENPARD-ის წარმატება

კოოპერატივი „ალაზნისთავი“

„ჩვენი პროდუქტი იმდენად მოთხოვნადია, რომ რეალიზაცია საერთოდ არ გვიჭირს“ - ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი გუდის ყველის კოოპერატივი.

პაატა აბულიძე კოოპერატივის „ალაზნისთავი“ თავმჯდომარეა. 2015 წელს, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პაატამ ჩამოაყალიბა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც ზღვის დონიდან 2100 მეტრზე, თუშეთის რეგიონში მდებარეობს.

კოოპერატივში დღეს 11 წევრია გაერთიანებული. ევროკავშირის მიერ კოოპერატივისთვის გამოყოფილმა საგრანტო დახმარებამ 98,500 ლარი შეადგინა. Oxfam-თან პარტნიორობით, კოოპერატივისთვის ევროპული სტანდარტების შესაბამისი ყველის საწარმო აშენდა, განათებისა და გათბობის სისტემები მოეწყო. ამასთან, კოოპერატივის წევრები გადამზადდნენ სხვადასხვა ტრენინგით, რომელიც პროექტის განმახორციელებელი პარტნიორების, Oxfam-ისა და ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის „ელკანა“ მიერ იყო ორგანიზებული. აღნიშნული სწავლება ფერმერებს საქმიანობის წარმართვაში ძალიან დაეხმარა. შედეგად, თუშეთში გუდის ყველის წარმოების ტრადიცია აღდგა.

ENPARD-ის წარმატება

„ჩვენი კოოპერატივის წევრების მოვალეობა ცხვრისა თუ ძროხის მოვლას, ყველის ამოყვანასა თუ შეშის მოგროვებას მოიცავს. მთავარი ფუნქცია ენიჭება სარქალს, გამოცდილ სპეციალისტს, რომელიც ცხვრის მოწველასა თუ ყველის დამზადებას უშალოდ ხელმძღვანელობს. კოოპერატივის ზოგიერთი წევრი ნადუღს ამზადებს, ზოგიც საწველე ბაკს ასუფთავებს, შეშაზე მიდის, პურს აცხობს, საჭმელს აკეთებს და ა.შ. კოოპერატივის თითოეულ წევრს ინდივიდუალური ფუნქცია აქვს, თუმცა მათ ერთმანეთის სამუშაოს შეთავსებაც შეუძლიათ“, აღნიშნავს პაატა.

ერთი ბიზნესის ქვეშ გაერთიანებული მიმწოდებლები, მწარმოებლები და რეალიზატორები „ალაზნისთავის“ დიდი უპირატესობაა. კოოპერატივის ჩამოყალიბებიდან სულ რაღაც ერთ წელში, საშუალო მოგება, კოოპერატივის ერთ წევრზე გაანგარიშებით, გაორმაგდა.

ნამდვილი გუდის ყველი მხოლოდ თუშეთში იწარმოება. თუშეთი, თავისი ადგილწარმოშობით, ქვაბულია. აქ იზრდება სპეციფიური დაბალი ბალახი, ღამისა და დღის ტემპერატურას შორის განსხვავება კი მინიმალურია. აღნიშნული ფაქტორები უმაღლესი ხარისხის, უნიკალური ყველის მიღებას განაპირობებს. ევროკავშირმა უკვე შეუწყო ხელი ადგილწარმოშობის სერტიფიკატის შექმნას - კოოპერატივს ექსპორტისთვის ხარისხის დამადასტურებელი ყველა საჭირო ნიშანი მიენიჭება.

კოოპერატივი „ნაგომარი"

„კოოპერატივის წევრთა ნახევარზე მეტი ქალია. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ჩვენ მიწის ფართობის გაორმაგება და საწარმოს გაფართოება შევძელით" – ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ჩაის კოოპერატივი „ნაგომარი".

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი 2015 წელს დაფუძნდა. რეგისტრაციიდან მალევე, ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, „ნაგომარმა" შავი და მწვანე ჩაის წარმოებისთვის საჭირო დანადგარები შეიძინა და ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია დაიწყო.

„პროექტის შედეგად ჩვენ გავაცნობიერეთ, რამდენად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, განსაკუთრებით კი სანდო და მყარ პარტნიორებსა თუ დაინტერესებულ მხარეებთან", აღნიშნავს ნანა ყირმელაშვილი, კოოპერატივის თავმჯდომარე.

ეს მხოლოდ დასაწყისია. კოოპერატივი სოფელში ჩაის კულტურის გაძლიერებას გეგმავს და დარწმუნებულია, რომ, რეაბილიტაციის შედეგად, რამდენიმე წელიწადში გაფართოებულ წარმოებას მიიღებს. ერთ სეზონზე რეაბილიტაციის პროცესში „ნაგომარი" 35 ოჯახს ასაქმებს. სოფლად მცხოვრებ ადამიანებს უკვე აქვთ ჩაის სექტორში მუშაობისა და რეაბილიტაციის პროცესში კვლავ ჩართვის მოტივაცია. კოოპერატივის წევრები მოწადინებითა და ენთუზიაზმით ივსებიან, როცა საქმე გამოცდილების გაზიარებას ეხება. „ნაგომარის" მთავარი გამოწვევა საწარმოს შენობის ევროკავშირის სტანდარტებთან ადაპტირებაა, რაც უფრო უსაფრთხო და ეფექტურ წარმოებას განაპირობებს. აღნიშნული წინსვლისთვის კოოპერატივის წევრები მეტი მხარდაჭერისა და რესურსების მოძიებას იმედოვნებენ.

ENPARD I ასევე ითვალისწინებდა კონკრეტული შედეგების მიღწევას შემდეგი მიმართულებებით:

- სოფლის მეურნეობაში ჩართული ინსტიტუტების ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა. აღნიშნული მიზანი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის გაუმჯობესებასაც გულისხმობს.
- მოწესრიგებული გეორგაფიული აღნიშვნების სისტემის შემუშავება.
- სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერა, საკანონმდებლო საქმიანობის განვითარების მექანიზმების შემუშავების გზით

ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის მხარდაჭერით, გაუმჯობესდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი უწყებების ფუნქციონირება, ასევე განახლდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად საჭირო კანონმდებლობა.

ძირითადი მიღწევები

საკანონმდებლო საქმიანობის განვითარების მექანიზმების შექმნა

კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ

- რეგისტრირებულ კოოპერატივებში გაუმჯობესდა მართვის შესაძლებლობები და დამკვიდრდა ეფექტური მმართველობა.
- ამაღლდა კოოპერატივის წევრების ცნობიერება კოოპერაციული საწარმოების არსისა და მიზნების შესახებ. წევრებს შორის განმტკიცდა კოოპერატივის საკუთრების თანაგანცდა.
- ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივები ფინანსებსა და სარგებელს ახლა უკეთ მართავენ.

კანონი საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ

გეორგაფიული აღნიშვნის მქონე პროდუქტი განსაკუთრებული გემოვნური და ფიზიკური თვისებებით გამოირჩევა. ასეთი პროდუქტი უნიკალურია, რადგან მისი წარმოება ხდება განსაკუთრებულ გარემო პირობებში, რაც მის გამორჩეულ თვისებებსა და დამატებით ღირებულებას განაპირობებს. კანონის შედეგად:

- გადამოწმდა საქართველოში წარმოებული პროდუქცია ადგილწარმოშობის მიხედვით.
- გამოიკვეთა გეოგრაფიული აღნიშვნით ბრენდირების პოტენციალის მქონე პროდუქტები.
- გაუმჯობესდა აგროტურიზმის პოტენციალი და გაძლიერდა ექსპორტი ევროპის ბაზარზე.

კანონი თესლის სავალდებულო სერტიფიცირების შესახებ

- შემუშავდა თესლის სავალდებულო სერტიფიცირების სისტემა, რაც თესლის წარმოების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
- ამაღლდა საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა.

თესლის სავალდებულო სერტიფიცირების სისტემის შექმნაში მონაწილეობა მიიღო გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO). შედეგად, თესლის რამდენიმე მწარმოებელი ნებაყოფლობითი სერტიფიცირების სისტემაში ჩაერთო. მონაწილეებმა 2015-2016 წლის სეზონზე სერტიფიცირებული სათესლე მასალების წარმოების გამოწვევა მიიღეს. შედეგად, პროდუქტიულობა 30%-ით გაიზარდა.

ინსტიტუციური განმტკიცება და შესაძლებლობების გაფართოება

პოლიტიკის ჯგუფი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნა პოლიტიკის ჯგუფი, რომელიც სექტორის განვითარების სტრატეგიების შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის ფუნქციას ასრულებს.

სურსათის საბაზრო ფასების საინფორმაციო სისტემა

სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა სურსათის საბაზრო ფასების საინფორმაციო სისტემა, რომელიც ფერმერებისთვის ბაზრის მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს.

მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

სამინისტროს ბაზაზე ჩამოყალიბდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, რომელიც ახალი პროგრამების, საქმიანობისა თუ ბიუჯეტის ეფექტურ დაგეგმარებას განაპირობებს.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო

სამინისტროს თაოსნობით ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც სტრატეგიის განვითარების კონსოლიდირებულ დარგობრივ ზედამხედველობას უზრუნველყოფს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. სამინისტროს აღნიშნული სტრუქტურის ფუნქციაა კოოპერატივების ხელშეწყობა და მათი საკონსულტაციო მომსახურებით უზრუნველყოფა, კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება, კოოპერატივის სტატუსის მინიჭება და მათი საქმიანობის მონიტორინგი.

ინსტიტუციური განმტკიცება და შესაძლებლობების გაფართოება

აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები

გაძლიერდა სოფლის მეურნეობის **აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები,** რაც სურსათისა და სოფლის მეურნეობის სექტორში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევითი პრაქტიკების გაუმჯობესებას განაპირობებს.

პროექტი ლიმერიკის უნივერსიტეტის (ირლანდია) მიერ, საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან და სოფლისა და სოფლის მეურნეობის პოლიტიკისა და განვითარების ინსტიტუტთან (RAPDI) პარტნიორობით განხორციელდა.

შესაძლებლობის განვითარების პროცესში, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროფესიული გადამზადების, საუნივერსიტეტო სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის სფეროებმა მნიშვნელოვნი ცვლილებები განიცადა. ინსტიტუტების გაძლიერებამ სპეციალური სასწავლო გეგმების შემუშავება განაპირობა, რაც ახლა სისტემას თეორიული თუ პრაქტიკული მოდულების უკეთ მომზადებაში ეხმარება.

სასოფლო-სამეურნეო აღწერა

საქართველოში პირველი **სასოფლო-სამეურნეო აღწერა** 2014 წელს, ევროკავშირის მხარდაჭერითა და FAO-ს ტექნიკური დახმარებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩატარდა. აღწერის შედეგად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის რეალური მონაცემები პირველად გამოვლინდა.

პროფესიონალური და გამოცდილი ევროპული მეთოდოლოგიის გამოყენების შედეგად, სოფლის მეურნეობის დღევანდელი მონაცემები მეტად წარმომადგენლობით, რეალისტურ სურათსა და ზუსტ ციფრებს გვაწვდის. აღნიშნული შედეგი ხელს უწყობს სექტორის უფრო ეფექტური პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებას.

შედეგები კვლევით ინსტიტუტებში

თელავში, ENPARD-ის მიერ განხორციელებული სოფლის მეურნეობის აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტების გაძლიერების პროექტის შედეგად, განმცხადებლების რაოდენობის ზრდა (120 განცხადება 50 ვაკანტურ ადგილზე) მხოლოდ სოფლის მეურნეობის ფაკულტეტზე დაფიქსირდა. კვლევის შედეგები პროექტის ეფექტურობაზე მეტყველებს.

სამცხე-ჯავახეთში ხახვის მოშენებას მეტმა ფერმერმა მიჰყო ხელი. შესაბამისად, წარმოებაც გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ხახვის ორი სადემონსტრაციო ნაკვეთი UNDP-ის მიერ იქნა მხარდაჭერილი.

ბათუმში ჩატარებულმა კვლევამ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაარწმუნა, რომ სხვა კულტურების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზში უნივერსიტეტის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია.

სოფლის განვითარების ევროპული მოდელის პილოტირება

სოფლად სამუშაო ადგილების შექმნა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ეკონომიკის დივერსიფიკაციას უწყობს ხელს, და ამასთან, სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულებასაც ამცირებს. სოფლის მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ENPARD-ის პროგრამა შესაბამის სამინისტროებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და სოფლის ადგილობრივ თემებთან სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობს.

ძირითადი მიღწევები

სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგია 2017-2020

სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში, ევროკავშირმა საქართველოს მთავრობა ტექნიკური დახმარებით უზრუნველყო. სტრატეგია სამ ძირითად მიმართულებას ეფუძნება:

- კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა
- ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
- ადგილობრივი ეკონომიკის გამრავალფეროვნება

სტრატეგია ითვალისწინებს ევროკავშირის LEADER მიდგომას, რომელიც, ENPARD-ის საგრანტო კომპონენტების ფარგლებში, საქართველოს თორმეტ მუნიციპალიტეტში უკვე დაინერგა.

რა არის LEADER? - LEADER მიდგომის თანახმად, ყველა სოფელს განსაკუთრებული შესაძლებლობები და უნიკალური გამოწვევები აქვს, რის შესახებაც ყველაზე კარგად სწორედ ადგილობრივი მოსახლეობაა ინფორმირებული. მიდგომა გულისხმობს ე.წ. „ქვემოდან-ზევით“ პრაქტიკის დანერგვას, რომლის თანახმადაც ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG) თემების მობილიზაციას ახდენენ. ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენის შემდეგ კი, კეთილსაიმედო საპროექტო იდეები დაფინანსებისთვის შეირჩევა.

სოფლად ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები

სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პარალელურად, ENPARD-ის I ფაზის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სოფლის განვითარების საპილოტე პროექტები ბორჯომში, ლაგოდეხსა და ყაზბეგში განხორციელდა.

პროექტების მიზანს არასასოფლო-სამეურნეო სექტორის, მათ შორის, ეკო-ტურიზმის, წარმოებისა და მომსახურებების გაძლიერება წარმოადგენდა. ამასთან, პრიორიტეტული იყო ძლიერი შრომის ბაზრის განვითარება სოფლებში, სადაც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი ცხოვრობს.

LEADER მიდგომის შესაბამისად, პირველი ადგილობრივი ჯგუფები აღნიშნულ სამ საპილოტე მუნიციპალიტეტში შეიქმნა. ადგილობრივი გამოწვევების იდენტიფიცირებისა და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის სტრატეგიის შემუშავების მიზნით, ENPARD-მა ევროპული ექსპერტიზა უზრუნველყო და ადგილობრივი განვითარების ინიციატივები ევროკავშირის გრანტით დააფინანსა.

ლაგოდეხის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

ლაგოდეხის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) წარმოადგენს დამოუკიდებელ პლატფორმას, რომელიც მიზნად მუნიციპალიტეტის განვითარების ხელშეწყობას ისახავს. ევროკავშირის LEADER მიდგომის გათვალისწინებით, LAG-ი მუნიციპალიტეტის თხუთმეტივე თემის 100-მდე წარმომადგენელს აერთიანებს, მათ შორის, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას.

ლაგოდეხის LAG-ის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სოფლის მეურნეობის განვითარება, კერძოდ, სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, გარემოს დაცვა, სოფლად ცხოვრების ხარისხისა და მომსახურებების გაუმჯობესებაა. ეკონომიკური აქტივობების მეშვეობით, LAG-ი ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის სოფლებში დასაქმების დივერსიფიციკაციასა და სოფლის მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას.

საკვანძო მონაცემები:
ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით, ლაგოდეხის ადგილობრივი განვითარების ჯგუფმა მხარი დაუჭირა სოფლის განვითარების 64 ინიციატივას, რომელთა სრული ღირებულება 2,482,100 ლარს შეადგენს. საერთო ჯამში, სოფლის განვითარების პროექტის ფარგლებში განხორციელებული ეკონომიკური თუ სოციალური ინიციატივების შედეგად, სოფლის 30,000-ზე მეტმა მოსახლემ პირდაპირი თუ ირიბი სარგებელი მიიღო.

ENPARD-ის ტერასა - ლაგოდეხის ნაკრძალში განტვირთვისთვის

„ევროკავშირის გვერდში დგომა ჩვენთვის დიდი ავტორიტეტია. ევროკავშირის კამპანიას მასშტაბური მნიშვნელობა აქვს სოფლის განვითარების შესახებ ცნობადობის გაზრდისთვის“ - ვალერი კერესელიძე, ENPARD-ის ტერასის დამფუძნებელი

„სასტუმრო ტყეში“, იგივე Wald Hotel Lagodekhi არის ერთადერთი სივრცე ბუნებრივი ლანდშაფტით მრავალფეროვანი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ადამიანებს ბუნებაში დასვენების შესაძლებლობა აქვთ.

ვალერი კერესელიძე, წლების დანაზოგით, ტურისტული სფეროს მომსახურების განხორციელებაზე დიდხანს ფიქრობდა. 2016 წლის აგვისტოში, ვალერი კერესელიძესა და ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომელიც კაფეტერიისა და სასტუმროს მოწყობას გულისხმობდა. სასტუმროს ექსპლუატირებისთვის საჭირო იყო სარემონტო სამუშაოების განხორციელება და შესაბამისი ინვენტარის უზრუნველყოფა.

ვალერი კერესელიძემ ENPARD-ის შესახებ მის სასტუმროში სტუმრად მოსული ლაგოდეხის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრებისგან შეიტყო. ორგანიზაცია CARE-ის მიერ საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ, სასტუმროს დამფუძნებელმა ორი ინიციატივა წარადგინა - როგორც ტერასის, ასევე ფანჩატურის მშენებლობის შესახებ. სტანდარტული პროცესის გავლის შემდეგ, დადებითი პასუხი მიიღო და ახალ საქმიანობასაც შეუდგა.

ENPARD-ის წარმატება

„ევროკავშირის მხარდაჭერით, ჩვენ შევქმენით ENPARD-ის ტერასა, რომელიც ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ბევრი დამთვალიერებლის საყვარელ ადგილად იქცა. მე ტერასას აუცილებლად მოვაწყობდი, თუმცა ამისთვის მრავალი წელი და დანაზოგის შეგროვება დამჭირდებოდა. ENPARD-თან ერთად დავიწყე როგორც საკუთარი ბიზნესის, ასევე ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია“ - აღნიშნავს ვალერი.

ამჟამად სასტუმრო ვალდში არის ცხრა ნომერი, რაც ერთდროულად მაქსიმუმ 30 დამსვენებლის გამასპინძლებას უზრუნველყოფს. კომპლექსში სისტემატურად 9 ადამიანია დასაქმებული, თუმცა მათი რაოდენობა ხშირად 15-საც აჭარბებს. ადგილობრივი პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვში ჩართვის გზით, ინიციატივა ფერმერებსაც აძლიერებს.

ვალერი კერესელიძის შემართებამ ადგილობრივ მოსახლეობაზე დიდი გავლენა მოახდინა. მაშინ, როდესაც სასტუმრო ვალდი ფუნქციონირებას იწყებდა, ლაგოდეხში ოფიციალურად სულ 8 საოჯახო სასტუმრო ფუნქციონირებდა, ახლა კი მათი რაოდენობა 20-ს აჭარბებს. ადგილობრივებმა დაინახეს, რომ საჭიროა, შეიქმნას ინფრასტრუქტურა, მარანი თუ პურის საცხობი, სადაც სტუმარს გაუმასპინძლდები.

საკვანძო მონაცემები:

2016 წელს ლაგოდეხის დაცულმა ტერიტორიებმა 20,000 ვიზიტორს უმასპინძლა, 2018 წელს კი დამთვალიერებლების რაოდენობამ 50,000-ს მიაღწია.

ევროკავშირის მხარდაჭერა

ENPARD I

2013-2017

სრული ბიუჯეტი: € 52 მლნ



ENPARD II (2016-2020)
მყარი საფუძვლის კვალდაკვალ

ENPARD-ის II ფაზით ევროკავშირმა ENPARD I-ის ფარგლებში დაწყებული სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერა კონკრეტული მიმართულებებით განავრცო:

- **სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება**
- **სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომების გაუმჯობესება**
- **სოფლის განვითარების პოლიტიკისა და რეფორმების შემუშავება**

სოფლის მეურნეობის გაძლიერება

პროგრამის მეორე ფაზაში, ევროკავშირმა, სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის განხორციელებაში, სამინისტროს მხარდაჭერა განაგრძო. პროგრამამ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სისტემისა და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებისთვის ტექნიკური დახმარება და ექსპერტიზა კვლავ უზრუნველყო.

ENPARD-ის II ფაზამ სამინისტროს ტექნიკური მხარდაჭერა და თანამშრომლების გადამზადება უზრუნველყო, რამაც ფერმერთა რეგისტრაციას და თესლის სავალდებულო სერტიფიცირების სისტემებისა და კლიმატისადმი მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვას შეუწყო ხელი.

ENPARD II-მა ბიზნესზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და მდგრადობის მხარდაჭერა პირდაპირი საბიუჯეტო დახმარებითაც განაგრძო.

ძირითადი მიღწევები:

გაუმჯობესდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურის, ადამიანური რესურსების მართვისა და სწავლების სისტემები:

ახალი პროგრამების, საქმიანობისა თუ ბიუჯეტის უკეთ დაგეგმვის მიზნით, 400-ზე მეტ თანამშრომელს სწავლება შემდეგ საკითხებზე ჩაუტარდა:

- ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი
- მონაცემთა ბაზის შექმნა და მართვა
- სოფლის მეურნეობის სტატისტიკა
- მოსავლის პროგნოზის სისტემები
- გეორგაფიული ინფორმაციული სისტემები
- აღებული მოსავლის მართვა
- სავაჭრო რეგულაციები
- ინგლისური ენა
- საინფორმაციო ტექნოლოგიები

გაუმჯობესდა სოფლის მეურნეობის ანალიტიკური შესაძლებლობები და დაიხვეწა მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა:

სურსათის ფასების მონიტორინგისა და ანალიზის ინსტრუმენტი – ელექტრონული სისტემა საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. ადგილობრივ ნაწარმზე ფასების განახლებული სტატისტიკა სოფლად მცხოვრებ ოჯახებსა და ფერმერთა გაერთიანებებს საწარმოო პროცესის საბაზრო ტენდენციებთან შეთავსებაში დაეხმარება. ამასთან, ინსტრუმენტი ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების წარმოჩენას შეუწყობს ხელს.

ფერმერთა რეგისტრაციის სისტემა – ელექტრონული პროგრამა შეიქმნა იმისთვის, რომ ფერმერების საკუთრებაში/სარგებლობაში ასრებული სასოფლო-სამეურნეო აქტივების შესახებ ინფორმაცია ერთიან ბაზაში მოექცეს.

სურსათის უვნებლობის სტანდარტების გაუმჯობესება

სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში უგულებელყოფილი იყო. თუმცა, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკების პროცესში, აღნიშნული საკითხი კვლავ საკანონმდებლო დღის წესრიგში დადგა: საქართველო თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობებით სრულად სარგებლობას მხოლოდ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების გზით შეძლებს.

ძირითადი მიღწევები:

- გაფართოვდა სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაძლებლობები. სააგენტო, რომელიც 2012 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩამოყალიბდა, სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების კონტროლსა და შემოწმებას უზრუნველყოფს.

- შემუშავდა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი, რომელიც ვაქცინაციისა და პესტიციდების მოხმარების მკაცრ რეგულირებას უზრუნველყოფს.

- გაუმჯობესდა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის, სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების კონტროლისა და შემოწმების მექანიზმები.

- ლაბორატორიაში სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული შემოწმებისა და კონტროლის ახალი სტანდარტები დაინერგა.

- გაფართოვდა სასაზღვრო გამშვები პუნქტების შესაძლებლობები. ასევე, დამკვიდრდა სურსათის იმპორტის/ექსპორტის მონიტორინგის ახალი სტანდარტები.

- ფერმერებმა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის გაუმჯობესებული სტანდარტები დანერგეს.

სურსათის უვნებლობის სტანდარტების დარღვევის გამოვლენის შემთხვევები

2015

550
შემთხვევა

2018

5,000 -ზე მეტი
შემთხვევა=
მონიტორინგის
მაღალი ხარისხი

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ შემოწმებული პროდუქციის რაოდენობა

2012

400-ზე ნაკლები
შემოწმება

2017

45,000 შემოწმება
= რეაგირების
ეფექტური მექანიზმი

ცხოველების ყველაზე გავრცელებული დაავადება იყო ანტრაქსი, რომელიც ფატალური შედეგებით მთავრდებოდა. ვეტერინარული დაცვის ეფექტური სისტემის შემუშავების შედეგად, ბოლო 12 თვის განმავლობაში, ანტრაქსის არცერთი შემთხვევა აღარ დაფიქსირებულა.

* სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემები

სოფლის განვითარების ხელშეწყობა

ბორჯომის, ლაგოდეხისა და **ყაზბეგის** მოსახლეობის საგრანტო მხარდაჭერის შედეგების კვალდაკვალ, ENPARD-ის II ფაზის ფარგლებში, LEADER მიდგომის დანერგვა ხუთ სხვა მუნიციპალიტეტშიც დაიწყო. 2017 წელს, ევროპული მოდელი **დედოფლისწყაროს, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ქედისა** და **ხულოს** მუნიციპალიტეტებზეც გავრცელდა.

ENPARD II-ის ფარგლებში, სოფლის განვითარების ხელშეწყობა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა კვლავ პრიორიტეტად დარჩა.

ძირითად სამიზნედ სოფელი და მთიანი რეგიონები მოიაზრება, თუმცა პროგრამა არასასოფლო მეურნეობებსაც მრავალმხრივ ეხმარება:

- მუდმივი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა
- მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის ხელშეწყობა
- პოტენციური მეწარმეებისა და განვითარების ახალი იდეების გამოვლენის მხარდაჭერა
- პროექტების შემუშავების ექსპერტიზის უზრუნველყოფა, საფუძვლიანი ბიუჯეტირებისა და ბიზნეს გეგმის გათვალისწინებით

ამგვარი მხარდაჭერა აუმჯობესებს სოფელში არსებულ არაადეკვატურ მომსახურებებს, რომლებიც, ხშირად, ეკონომიკურ განვითარებას აფერხებს და სოფლის სიღარიბესაც განაპირობებს.

სოფლის განვითარების საპილოტე საქმიანობა კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში ხორციელდება, თუმცა პროგრამის სოფლის განვითარების კომპონენტის სიკეთეები მთელს ქვეყანაზე დადებითად აისახება. ჯამში, LEADER პროექტები რვა მუნიციპალიტეტში განხორციელდა (იხილეთ რუკა).

მნიშვნელოვანი ფაქტი:
პროგრამა სოფლის განვითარების საქმიანობას **აფხაზეთშიც** ახორციელებს, ევროკავშირის არაღიარებისა და ჩართულობის პრინციპების გათვალისწინებით. ENPARD ხელს უწყობს ევროკავშირის ისეთი ძირითადი პრინციპების დანერგვას, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, გარემოს მდგრადი განვითარება და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის საკითხები.

ადგილობრივი განვითარების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

- სოფლის მეურნეობა და ღირებულებათა ჯაჭვი
- ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურება
- სოციალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურა
- განათლება, სპორტი და კულტურა
- გარემოს დაცვა
- ბუნებრივი რესურსების მართვა
- ქალები, ახალგაზრდები და მოწყვლადი ჯგუფები

ევროკავშირის მხარდაჭერილი ადგილობრივი განვითარების ჯგუფების სტრუქტურა

ლაგოდეხი LAG
130 წევრი

საჯარო	35 %
კერძო	36 %
არასამთავრობო	29 %

ყაზბეგი LAG
146 წევრი

10 %	საჯარო
45 %	კერძო
45 %	არასამთავრობო

ბორჯომი LAG
28 წევრი

საჯარო	36 %
კერძო	35 %
არასამთავრობო	29 %

ახალქალაქი LAG
30 წევრი

46 %	საჯარო
24 %	კერძო
30%	არასამთავრობო



დედოფლისწყარო LAG
91 წევრი

საჯარო	15 %
კერძო	26 %
არასამთავრობო	59 %

თეთრიწყარო LAG
89 წევრი

38 %	საჯარო
21 %	კერძო
41 %	არასამთავრობო

ქედა LAG
322 წევრი

საჯარო	32 %
კერძო	54 %
არასამთავრობო	14 %

ხულო LAG
69 წევრი

22 %	საჯარო
30 %	კერძო
48 %	არასამთავრობო

ENPARD-ის წარმატება

თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG)

თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორებს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნით აერთიანებს. LAG-ი დაბალანსებული, თანამონაწილეობითი და ინკლუზიური ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შექმნაზე მუშაობს. 107 წევრისგან დაკომპლექტებული თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი, ევროკავშირის LEADER მიდგომაზე დაყრდნობით, 2017 წლის აგვისტოში შეიქმნა. არჩევნების გზით, LAG-ის აღმასრულებელი დირექტორის პოზიცია 27 წლის ნინო ტიკურიშვილმა დაიკავა.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფი თეთრიწყაროს ოცივე თემს აერთიანებს. მისი წევრები არიან სხვადასხვა რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობები, ასევე თეთრიწყაროში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები და ეკომიგრანტები. აღსანიშნავია, რომ LAG-ის წევრთა 40%-ს ქალები, 30%-ს კი ახალგაზრდები წარმოადგენენ.

2018 წლის თებერვალი-მარტი ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის განსაზღვრას დაეთმო. გარდა ამისა, LAG-ის წევრებმა სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორები ჩამოაყალიბეს. პარალელურად თემთან კონსულტაციები მიმდინარეობდა. LAG-ის წარმომადგენლებმა თეთრიწყაროს მოსახლეობასთან 20 შეხვედრა გამართეს და მათ სტრატეგიის სამუშაო ვერსია წარუდგინეს. მოსახლეობისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, თეთრიწყაროს განვითარების სტრატეგია საერთო კრებამ 2018 წლის მარტში დაამტკიცა. სოფლად ტურიზმის განვითარება, დივერსიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მოდერნიზება, გარემოს დაცვა, ბუნებრივი რესურსების მართვა და სოფლის ინფრასტრუტურის რეაბილიტაცია სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტებია.

“რეგიონის ძირითადი პოტენციალი ტურიზმია. თეთრიწყარო ულამაზესი ადგილებითა და ბუნებით გამოირჩევა, თუმცა ამის შესახებ ნაკლდაბად იციან როგორც ქართველმა ადგილობრივმა, ასევე უცხოელმა მოგზაურებმა. მომსახურებებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, საზოგადებასთან ურთიერთობას, ცნობადობის ზრდასა და აღიარებას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. გასართობი და დასასვენებელი ადგილებისა და შესაძლებლობების შექმნა უცხოეულ ტურისტებს მოიზიდავს, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებას კი მრავალფეროვნებას შესძენს“, აღნიშნავს ნინო ტიკურიშვილი, თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორი.

ENPARD-ის წარმატება

თოკების პარკი – ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი სოფლის განვითარების ინიციატივა თეთრიწყაროში

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი თოკების პარკის ატრაქცია ალგეთის ეროვნულ პარკში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის დაბა მანგლისში მდებარეობს. 225 მეტრიანი ატრაქცია თოკებისგან, ხიდებისგან, ძელაკებისა და ბადეებისგან შემდგარ დაბრკოლებათა ჯგუფს წარმოადგენს. თოკების ატრაქცია მიწის ზედაპირიდან სხვადასხვა სიმაღლეზეა მოწყობილი. პარკი შედგება 2 მარშრუტისგან: „მოზარდებისთვის“ და „საოჯახო“.

თოკების პარკი ერთ-ერთია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული იმ ინიციატივებიდან, რომლებიც ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ შემუშავებული სტრატეგიის პრიორიტეტების შესაბამისად განხორციელდა.

„თოკების პარკი პოპულარიზაციას და ფინანსურ სარგებელს მოუტანს როგორც ალგეთის ეროვნულ პარკს, ისე ადგილობრივ მოსახლეობას. ამ ატრაქციაზე მოსულ ვიზიტორებს კვება, ღამის თევა, ტრანსპორტი, გიდი, საცხენოსნო და საფეხმავლო ბილიკები სჭირდებათ. ამ მომსახურებებს ადგილობრივი მოსახლეობა უზრუნველყოფს. პროექტის მიზანი დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარებაა, რაც ადგილობრივ მოსახლეობასაც მრავალ სიკეთეს მოუტანს“, ამბობს ავთანდილ მჭედლიძე, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი.

ევროკავშირის საგრანტო დახმარება 150,000 ლარს შეადგენს (100,000 ლარის თანადაფინანსების ჩათვლით). 2018 წელს, ალგეთის ეროვნულ პარკს 80,000 ვიზიტორი ესტუმრა. მოსალოდნელია, რომ თოკების ატრაქცია ალგეთის პარკში დამთვალიერებელთა რაოდენობას 40%-ით გაზრდის.

ევროკავშირის მხარდაჭერა
ENPARD II
2016-2019

სრული ბიუჯეტი: € 50 მლნ



ENPARD III (2018-2022)
სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების რეფორმების კონსოლიდაცია

სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, ENPARD-ის III ფაზის სტრატეგიული მიზანია:

- **სოფლად ეკონომიკური საქმიანობის გამრავალფეროვნება**
- **ტურიზმის ზრდა**
- **ბუნებრივი რესურსების მდგრადი განვითარება**
- **სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება**

შეიქმნა **უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი,** რომელიც 2021-2027 წლების სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე მუშაობს.

პოლიტიკის განხორციელების პროცესში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერის გზით, სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობა ამაღლდა

ENPARD III-ის ფარგლებში, მთავრობამ დაამტკიცა **სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია.** ახალი სტრატეგია მიღებულ გამოცდილებას ეფუძნება და გამოკვეთილ ხარვეზებს აღმოფხვრის. საქართველოს ინსტიტუციური დაახლოება ევროკავშირთან, სოფლის ინკლუზიური განვითარება და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებია.

სექტრული ინსტიტუციური რეფორმის ფარგლებში, **სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო შეიქმნა.** სააგენტოს ფუნქცია სოფლისა და სოფლის მეურნეობის სფეროში ახალი კოოპერატივებისა და პროექტების შექმნის მხარდაჭერა და ფერმერებისთვის ეფექტური დახმარების აღმოჩენაა.

საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების ბაზაზე, **სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის 2018-2020 წლების სტრატეგია** დამტკიცდა და **სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის ახალი სისტემა** შემუშავდა. სტრატეგიის მიზანია ფერმერებისთვის მაღალი ხარისხის, ხარჯეფექტური საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას განაპირობებს:

- არსებული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები გარდაიქმნება თანამედროვე, ფერმერთა რეალურ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებად;
- იქმნება სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთების ქსელი, რაც ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო სწავლებისა და კონსულტაციის გაზიარების მექანიზმს გულისხმობს.
- ყალიბდება კერძო და საჯარო სადემონსტრაციო ნაკვეთების ქსელი.
- სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის 2018-2020 წლების სტრატეგია ორ საპილოტე მუნიციპალიტეტში, რაჭა-ლეჩხუმსა და გურიაში განხორციელდება.

სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

- ENPARD III-მა მხარი დაუჭირა საქართველოს მთავრობასა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას სოფლის განვითარების პოლიტიკის განხორციელებასა და დივერსიფიცირებული ეკონომიკური საქმიანობის შექმნაში.

- მიმდინარეობს დასაქმებისა და მომსახურებების გაუმჯობესება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის აჭარასა და აფხაზეთში.

  ENPARD III-ის ფარგლებში, სოფლის განვითარების LEADER მიდგომაზე დაფუძნებული ოთხი ახალი საგრანტო პროექტი **წალკის, ახმეტის, წყალტუბოსა** და **მესტიის** მუნიციპალიტეტებში დაიწყო. ENPARD-ის I და II ფაზების ფარგლებში, საქართველოს რვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული სოფლის განვითარების საქმიანობის მხარდაჭერა ახლა აღნიშნული პროექტებით გრძელდება.

გარემოს გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა და კლიმატგონივრული მეურნეობა

- ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სტრატეგია, რომელიც კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებასა და საქართველოში კლიმატის ცვლილების გავლენის შემცირებას განაპირობებს.

- FAO-ს ტექნიკური მხარდაჭერით, ENPARD-ის პროგრამამ ქვეყანაში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო საქმინობის შესახებ ცნობადობის ზრდა უზრუნველყო. აღნიშნული საქმიანობა მიწის მომზადებას, ნიადაგის, წყლისა და მოსავლის მართვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვას, სამეურნეო გამონაბოლქვის შემცირებასა და ეფექტური აგრო-მეტეოროლოგიური მომსახურებების დამკვიდრებას გულისხმობს.

ENPARD-ის წარმატება

დავით და ვალენტინა კაპანაძეები არიან ერთ-ერთი პირველი ფერმერები, რომელთაც ლაგოდეხში ბადრიჯნის სადემონსტრაციო ნაკვეთი მოაწყვეს. აღნიშნული ინიციატივა ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში შექმნილი სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთების ქსელისა და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის საუკეთესო მაგალითია.

კაპანაძეების სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობისას გამოყენებულია ისეთი მეთოდები, რომლებიც ბოსტნეულს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გვალვის, წვიმისა და სხვადასხვა მავნებლებისგან იცავს.

„ჩვენ გადავწყვიტეთ, სრულად გამოგვეყენებინა ის ცონდა, რომელიც ევროპელმა ექსპერტებმა გაგვიზიარეს. ირიგაციის, სასუქების შეტანისა და პესტ-მენეჯმენტის სწორი მეთოდის გამოყენებით, დღეს ბადრიჯნის ნაკვეთი შესანიშნავ მოსავალს იძლევა. სამწუხაროდ, ძლიერმა წვიმამ ჩვენი ბევრი მეზობლის მოსავალი გაანადგურა, ჩვენი ნაკვეთი კი მოწყობილია ისე, რომ ყველა სახის ამინდსა და მავნებელს გადაურჩება“, აღნიშნავს ვალენტინა კაპანაძე, ლაგოდეხის სადემონსტრაციო მიწის ნაკვეთის ფერმერი.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის გაძლიერების მიზნით, ფერმერთათვის სადემონსტრაციო ნაკვეთები ENPARD III-ის პროექტის ფარგლებში ეწყობა პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას, რაც ფერმერებისთვის მაღალი ხარისხის საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზებითა და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის წახალისებით მიიღწევა. კარტოფილის, ბადრიჯნის, ხორბლის, სიმინდის, კიტრისა და ჟოლოს სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა დედოფლისწყაროში, ახალქალაქში, ყაზბეგსა და ლაგოდეხში მიმდინარეობს.

ევროკავშირის მხარდაჭერა
ENPARD III
2018-2022

სრული ბიუჯეტი: € 77.5 მლნ



ENPARD IV (2020-2024)
სტანდარტების ამაღლება, ექსპორტის ზრდა და სოფლად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

ENPARD IV-ის დაწყება 2020 წლის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. პროგრამის IV ფაზა საქართველოს **სურსათის უვნებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების** დანერგვაში დაეხმარება. შედეგად, უკეთ იქნება დაცული მომხმარებელთა უფლებები და ქართული პროდუქციის ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ექსპორტის პოტენციალიც გაიზრდება. ENPARD IV ინსტიტუციური განვითარების ფართომასშტაბიანი პროგრამისა (CIB) და ENPARD-ის წინა ფაზების შედეგებს დაეფუძნება. ინსპექტირებისა თუ კონტროლის სისტემების დანერგვისა და ახალი რეგულაციების შემუშავების კუთხით, პროგრამა სურსათის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერას განაგრძობს. ახალი ფაზა სურსათის ბიზნეს ოპერატორებს მიმდინარე რეფორმებთან უკეთ ადაპტირებაშიც დაეხმარება.

ENPARD IV საქართველოს **სოფლის განვითარების** მხარდაჭერასა და სოფლად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას განაგრძობს, რათა სოფლის სექტორმა მეტი წვლილი შეიტანოს საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. პროგრამის IV ფაზა მეტად ორიენტირებული იქნება მოწყვლადი რეგიონებისა და ოჯახების (ეკო-მიგრანტების, კონფლიქტით დაზარალებული პირების, ეთნიკური უმცირესობების, მიგრანტების) ეკონომიკურ და სოციალურ ინტეგრაციაზე. ამასთან, ადგილობრივი განვითარების გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის ახალგაზრდებისა და ქალების გაძლიერება, კვლავ პროგრამის პრიორიტეტი იქნება.

ENPARD-ის საკომუნიკაციო სამსახური

ENPARD-ის საკომუნიკაციო სამსახური 2012 წელს შეიქმნა. მისი მიზანია, გაზარდოს ცნობადობა ევროკავშირის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაში შეტანილი წვლილის შესახებ. უკვე ბევრი წელია, ჩვენი გუნდი მრავალფეროვან და მოქნილ საკომუნიკაციო საქმიანობას წარმატებით ახორციელებს. ამასთან, ჩვენ შევიმუშავებთ ეფექტური კოორდინაციისა და მონიტორინგის სქემებს, რაც ევროკავშირის მიერ ENPARD-ის ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებს, დაინტერესებულ მხარეებსა და პარტნიორებს საქმიანობას მნიშვნელოვნად უმარტივებს. საზოგადოებასთან ურთიერთობის ინიციატივებითა და ცენტრალური თუ რეგიონული მედიის გაშუქებით გაჯერებული ჩვენი საქმიანობა ევროკავშირის მხარდაჭერის შესახებ ცნობადობის გაზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

თამარ ხუნწარია

ENPARD-ის საკომუნიკაციო სამსახურის ხელმძღვანელი

ENPARD-მა ჩემი, როგორც სოფლის მეურნეობის თემატიკის რეპორტიორის, ცოდნა თანამედროვე ევროპული მიდგომების შესახებ მნიშვნელოვნად აამაღლა. როგორც ENPARD-ის ვებ-გვერდის გამომწერი, მე მუდმივად ვიგებ სიახლეებს ENPARD-ის მიღწევების, ახალი სტრატეგიებისა თუ საგრანტო შესაძლებლობების შესახებ. ჩემი უშუალო აუდიტორია ფერმერებს, სურსათის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს აერთიანებს. ევროკავშირის სტანდარტების დამკვიდრებით მიღწეული შედეგების გაშუქებას მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დემეტრე ერგემლიძე

რეპორტიორი, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ჩვენ რეგიონულ მაუწყებლებს ვაერთიანებთ. სოფლად მცხოვრებ ადამიანებს ამ სფეროში მიმდინარე მოვლენები განსაკუთრებით აინტერესებთ. ENPARD-ის საკომუნიკაციო სამსახური ბევრ ღირებულ ვიდეოსა თუ ინფოგრაფიკას ქმნის. ამ გზით სამსახური რთულ სტრატეგიულ მიდგომებს მარტივად და ყველასთვის გასაგებად ხსნის. ამასთან, ჩვენ სოფლად მცხოვრები რიგითი ადამიანების წარმატების ისტორიებს მოგითხრობთ. ჩვენ, როგორც ENPARD-ის საკომუნიკაციო სამსახურის პარტნიორი, ვიდეო თუ ფოტო მასალას ჩვენს პლატფორმაზე ვათავსებთ, რათა ინფორმაცია მივაწვდინოთ უფრო ფართო აუდიტორიას, რომელსაც, შესაძლოა, ინტერნეტზე წვდომა სულაც არ ჰქონდეს.

ნათია კუპრაშვილი

საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის დირექტორი

ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD

ENPARD-ის საკომუნიკაციო სამსახური

ჭავჭავაძის გამზ. 62
0165 თბილისი, საქართველო

WWW.ENPARD.GE